ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1808285

ნომერი: AR1294188

თარიღი : 16.03.2015

გაცემის თარიღი : 01.04.2015

გაცნობის თარიღი : 02.04.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პუშკინი , N 1-3 , (ნაკვ. 18/26) / ქალაქი თბილისი , ქუჩა პუშკინი , N 1-3 , (ნაკვ. 18/29) / ქალაქი თბილისი , ქუჩა პუშკინი , N 1-3 , (ნაკვ. 18/030) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარ ხატიაშვილი პ/ნ 01010012373
- საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა ნუცუბიძეს ქუჩა, N 221, კორპუსი 2, ბინა 24

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ

თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, (სექტორი–კრწანისი) პუშკინის ქ. N1–3–ში, მდებარე შენობის ფასადზე, სარეკლამო აბრების განთავსების ნებართვას.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის მოწყობაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.
,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ ,,საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882015030042 - 23/01/2015წ; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი, საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, პუშკინის ქ. N1–3–ში, მდებარე შენობის ფასადზე, სარეკლამო აბრების განთავსების შესაძლებლობას. გაითვალისწინეთ, რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა–ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.